15 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა საკავშირო ახალ XIII ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ხუთშაბათი,
17 აპრილი,
1958 წელი
№ 46 (1216)
ფასი 20 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

ᲚᲔᲚᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XIII ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უთვლის საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XIII ყრილობის დელეგატებს, კომკავშირელებს, სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის მთელ მრავალმილიონიან არმიას.

ლენინური კომკავშირი კომუნისტური პარტიის პირმშოა, საბჭოთა ხალხის იმედი და სიამაყეა. მის რიგებში აღიზარდა მილიონობით ახალგაზრდა პატრიოტი, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი, რომლებმაც შრომასა და ბრძოლაში დაამტკიცეს თავიანთი სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიის საქმისადმი. ახალგაზრდობის ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა კომკავშირის სახელოვანი ტრადიციები — მხურვალედ გამოეხმაურონ სამშობლოს მოწოდებას, იყვნენ იქ, სადაც სიძნელეა, ყოველ საქმეში გამოიჩინონ ინიციატივა და თაოსნობა, ყველაფერში გაყვნენ პარტიას, იყვნენ მისი ერთგული და საიმედო თანაშემწე. ახალგაზრდობის ლენინურმა კომუნისტურმა კავშირმა თვალსაჩინო როლი შეასრულა სოციალიზმის მშენებლობასა და გარეშე მტერთაგან ჩვენი სამშობლოს დაცვაში, რითაც საბჭოთა ხალხის სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა.

შესანიშნავი წარმატებებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში აღინიშნა კომკავშირის მოღვაწეობა უკანასკნელ წლებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ყრილობისა, რომელმაც დასახა კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, აღაფრთოვანეს ახალგაზრდობა, მის წინაშე დასახეს ახალი ფართო ასპარეზი, რათა გამოიჩინოს გაბედული შემართება, საბრძოლო სულისკვეთება, წყაროსავით მოჩუხჩუხე შემოქმედებითი ენერგია. პარტიისა და მთავრობის მოწოდებით, თავისი გულის კარნახით საბჭოთა ახალგაზრდობა დაირაზმა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად და ჩაიდინა დიდი შრომითი გმირობა, რომელსაც არასოდეს არ დავიწყებს ჩვენი ხალხი. ათასობით ახალგაზრდა პატრიოტი წავიდა მეცხოველეობის ფერმებში, რათა თავისი პრაქტიკული მონაწილეობით დაეხმაროს პარტიასა და ხალხს ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში.

ჩვენი ახალგაზრდობის შრომისმოყვარე ხელით არის აშენებული და შენდება ახალი შახტები და მაღაროები, ბრძმედები და მარტენის ღუმელები, მსოფლიოში უდიდესი ელექტროსადგურები, შენდება ფაბრიკები და ქარხნები. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ქალიშვილები და ჭაბუკები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით შრომობენ სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მთელი თავიანთ ძალასა და ცოდნას ახმარენ კომუნიზმისათვის ბრძოლას.

ლენინური კომკავშირის და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის თვალსაჩინო გმირობა სამშობლოს სასახელოდ დამსახურებულად აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

ახლა საბჭოთა ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზეა. კომუნისტური საზოგადოების აშენება ახლა პარტიისა და ხალხის უშუალო პრაქტიკული ამოცანაა. ამ პირობებში კიდევ უფრო მაღლდება კომკავშირის როლი სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ლენინური კომკავშირი კვლავაც მთელი თავისი მრავალმხრივი საქმიანობით დაუცხრომლად ჩაუნერგავს თვითეულ ქალიშვილსა და ჭაბუკს კომუნისტური ეპოქის ადამიანის კეთილშობილურ თვისებებს: კომუნიზმის გამარჯვების უსაზღვრო რწმენას, სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულს, შრომისმოყვარეობას, თავდადებას საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში, იმის უნარს, რომ დაძლიოს ყოველი სიძნელე დიადი მიზნის გზაზე, იმას, რომ მზად იყოს დაიცვას თავისი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საჭიროა კიდევ უფრო მტკიცედ დავრაზმოთ ახალგაზრდობის ძალები პარტიის მიერ დასახული იმ ამოცანის შესრულებისათვის საბრძოლველად, რომ უახლოეს 15 წელიწადში გავუსწროთ უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მხრივ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება იმ კომკავშირული ორგანიზაციების პატრიოტულ თაოსნობას, რომლებმაც იკისრეს მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების, ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების, საგლინავი ჩარხებისა და ელექტროსადგურების, ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის შეფობა.

კომკავშირმა კიდევ უფრო ფართოდ უნდა ჩააბას ახალგაზრდობა სოციალისტურ შეჯიბრებაში სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, გამოიჩინოს მეტი ინიციატივა წარმოების რეზერვების ძიებაში, ყაირათიანობისა და ეკონომიისათვის ბრძოლაში, ყოველი ღონისძიებით გაუწიოს დახმარება ახალგაზრდობას თავისი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებაში, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაუფლებაში.

კომკავშირი კვლავაც უნდა იყოს პარტიის აქტიური თანაშემწე სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის დარგში ხალხის მიერ მოწონებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, იმ ამოცანის გადაჭრისათვის ბრძოლაში, რომ უახლოეს წლებში შევქმნათ სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის, დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამისათვის საჭიროა, რომ სოფლის ახალგაზრდობამ თავის ძალებს თავი მოუყაროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, გვიჩვენოს შრომისადმი თავდადებული დამოკიდებულების მაგალითი, მტკიცედ დაეუფლოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, აგრონომიულ და ზოოტექნიკურ ცოდნას, იბრძოლოს საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის გადიდებისათვის, მისი პროდუქტიულობის ზრდისა და ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი, მყარი მოსავლის მიღებისათვის.

ჩვენს საუკუნეში, როცა კომუნიზმის იდეები, დაეუფლა რა მილიონობით ადამიანის გონებასა და გულს, გახდა მძლავრი შემოქმედებითი ძალა, რომელიც გარდაქმნის თანამედროვე საზოგადოებას, ახალგაზრდობისათვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ღრმად შეისწავლოს მარქსისტულ-ლენინური თეორია, შემოქმედებითად გამოიყენოს მიღებული ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში. კომკავშირი მოწოდებულია მუდმივად იზრუნოს ახალგაზრდობის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, აღზარდოს იგი გმირი მუშათა კლასის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის ყოველი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. საჭიროა ღრმად განვუმარტოთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აზრი, დავეხმაროთ მათ სწორი ორიენტაცია ჰქონდეთ საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ მოვლენებში. საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის უმაგალითო აყვავება ახალგაზრდობას უსახავს იმის საჭიროებას, რომ მუდამ ისწავლოს, იყოს თანამედროვე ცოდნის დონეზე, დაეუფლოს სოციალისტური კულტურის მიღწევებს, უნარიანად და მტკიცედ შეახამოს წარმოებაში მუშაობა სწავლასთან.

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიდებული ამოცანები, კომკავშირის სულ უფრო მზარდი როლი ამ ამოცანების განხორციელებაში მოითხოვენ დაუცხრომლად გაუმჯობესდეს ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში. საჭიროა ფართოდ განვავითაროთ კომკავშირის ინიციატივა და თვითმოქმედება, განვახორციელოთ მიზანსწრაფული მუშაობა ახალგაზრდობის მასებში, გადაჭრით აღმოვფხვრათ ფორმალიზმი, პარადულობა და ხმაური. კომკავშირმა კარგად უნდა იცოდეს ახალგაზრდობის სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებანი და საჭიროებანი, უნდა შეეძლოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შეურჩიოს შესაფერისი საქმე, უნდა იბრძოდეს იმისათვის, რომ ყოველი პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია იყოს მებრძოლი ცხოველმოქმედი კოლექტივი, მჭიდროდ დაკავშირებული მთელ ახალგაზრდობასთან. კომკავშირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესებას.

კომკავშირი მოწოდებულია აღზარდოს საბჭოთა ახალგაზრდობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა და ხალხთა მეგობრობისადმი ერთგულების სულისკვეთებით, გააფართოოს და განამტკიცოს საბჭოთა ახალგაზრდობის ურთიერთობა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობასთან, მსოფლიოს მთელ პროგრესულ ახალგაზრდობასთან, დაუცხრომლად იბრძოლოს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ლენინური კომკავშირი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება რა კომუნისტური პარტიის გარშემო, ახალ გმირულ ფურცელს ჩასწერს ნათელი მომავლისათვის, კომუნიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორიაში.

გაუმარჯოს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს—კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

შეჯიბრებათა ჩაჭარების ახალი სისტემა — ჩვენი ყურადღების ცენტრში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გარდავქმენით მუშაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1957 წლის დეკემბრის პლენუმმა თავის დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მასობრივ განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში, როგორც სპორტული საქმიანობის დასაყრდენში. ამ ამოცანების განსახორციელებლად „ლოკომოტივის“ საგზაო და რაიონულმა საბჭოებმა თავიანთი ყურადღების ცენტრში გადაიტანეს ძირეული კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესების საქმე.

უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზის ტრანსპორტის სისტემა და მისი საქმიანობა, როგორც სამეურნეო დარგში, ისე მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში ძალზე განსხვავდება ტერიტორიული ორგანიზაციებისა და სხვა სამინისტროების მუშაობისაგან. სწორედ ამიტომ კოლექტივებში შეჯიბრებათა ახალი სისტემის დანერგვისას მრავალ წინააღმდეგობას ვაწყდებით. მაგრამ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებით მაინც მივაღწიეთ მნიშვნელოვან წარმატებებს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ჯერ კიდევ გასულ წელს საგზაო და რაიონული საბჭოების ბიუჯეტიდან ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს გადავეცით 165 ათასი მანეთი. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირეული საბჭოების გამოუცდელობისა და რაიონული საბჭოების უყურადღებობის გამო 81 ათასი მანეთი აუთვისებელი დარჩა, რადგან ძირეულმა კოლექტივებმა ვერ შეძლეს შეჯიბრებათა ჩატარება, ნაკლებად მონაწილეობდნენ რაიონულ და საქალაქო პირველობებში.

მიმდინარე წელს საქმიანობა ახალ საწყისებზე გარდავქმენით. სპორტული კალენდარით გათვალისწინებული გვაქვს სისტემატურად ჩავატაროთ შეჯიბრებები უშუალოდ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში წრიული სისტემით და ტურებად. რაიონულმა საბჭოებმა უკვე შეიმუშავეს დებულებები და შეუდგნენ თავიანთი სპარტაკიადების ჩატარებას სოხუმის, ბათუმის, სამტრედიის, ხაშურის, თბილისის, ნავთლუღის და გურჯაანის რკინიგზის კვანძებზე.

მიმდინარე წლის 28 მარტს თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის რკინიგზის ფიზკულტურის მუშაკთა აქტივის თათბირი, რომელმაც მოისმინა მოხსენება „ფიზიკური კულტურის კოლექტივის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გასულ წლებთან შედარებით წამყვანმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა საგრძნობლად გარდაქმნეს საქმიანობა. მისაბაძია თბილისის საელმავლო დეპოს ფიზკულტურული კოლექტივის წამოწყება. აქაურმა ახალგაზრდებმა საერთო კრებაზე მიიღეს მოწოდება ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა ფიზკულტურული კოლექტივისადმი და აიღეს ვალდებულებანი. თბილისის საელმავლო დეპოს ფიზკულტურელთა მიმართვას ფართოდ გამოეხმაურნენ ხაშურის საელმავლო დეპოს, თბილისის მეოთხე სავაგონო უბნის, სამტრედიის რკინიგზის კვანძის ფიზკულტურელები, რომლებმაც მოიწონეს მელმავლეთა მოწოდება, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რ. ხაბალაშვილი,
„ლოკომოტივის“ ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.



თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში შვიდი თვის წინათ ჩატარდა პირველი საწარმოო ტანვარჯიში, რომელიც თანდათან პოპულარული გახდა მუშა-მოსამსახურეთა შორის. საზოგადოებრივი ინსტრუქტორების ღონღაძის, ნათაძის, ტიშჩენკოსა და იუდინის ნაყოფიერი მუშაობით ეს სასარგებლო ღონისძიება უკვე დაინერგა ქარხნის შვიდ საამქროსა და სამმართველოში, ყოველდღიურად ერთიდაიმავე დროს ეწყობა გამამხნევებელი ვარჯიშები და ფიზკულტშესვენებები.

სურათზე: ფიზკულტშესვენება საკონსტრუქტორო ჯგუფის მუშაკებთან.

ფოტო ა. ვართანოვისა.

მეელმავლეთა მოწოდების საპასუხოდ

გასულ, 1957 წელს თბილისის საელმავლო დეპოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მიერ ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ დათვალიერება-კონკურსში მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია. საგრძნობლად გაუმჯობესდა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, რისთვისაც იგი „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ვიმპელით დააჯილდოვა.

მუშაობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე დაყენების მიზნით მელმავლეებმა მიმართეს ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის“ ყველა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს, გამოიწვიეს ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში და აიღეს გაზრდილი ვალდებულებები, რომელშიც ვკითხულობთ:

„1. 1958 წელს ყველა თანამშრომელი გავხადოთ სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ წევრი.

2. დეპოს ყველა საამქროში დავნერგოთ საწარმოო ტანვარჯიში, ყოველდღიურად ჩავატაროთ დილის გამამხნევებელი ვარჯიში ყველასათვის და ფიზკულტშესვენებები იმ მუშებისათვის, რომლებიც მუშაობის პროცესში ხანგრძლივად იმყოფებიან ერთდაიმავე მდგომარეობაში.

3. საფუძვლიანად გარდავქმნათ სპორტული სექციების მუშაობა და მივაღწიოთ ვარჯიშების რეგულარულ ჩატარებას ყველა სახეობაში.

4. სისტემატურად ჩავატაროთ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, აგრეთვე ამხანაგური შეჯიბრებები მეზობელ წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურელებთან.

5. წესრიგში მოვიყვანოთ ყველა სპორტული ბაზა.

6. ეთხოვოს ხელმძღვანელობას გამოგვიყოს ერთი ელმავალი, რომლის მემანქანეებად და თანაშემწეებად იმუშავებენ ფიზკულტურელები, ხოლო ელმავალს ეწოდოს „ფიზკულტურული“.

7. კომკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად შევქმნით ფიზკულტურელთა საწარმოო ბრიგადას, რომელიც დაკომპლექტებულ იქნება მოწინავე კომკავშირელებითა და ფიზკულტურელებით.“

* * *

საელმავლო დეპოს ფიზკულტურელთა მიმართვა თავიანთ კრებაზე განიხილეს „ლოკომოტივის“ მთელმა რიგმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, მოიწონეს იგი, მხარი დაუჭირეს, მიიღეს გამოწვევა. ასე მაგალითად, თბილისის სამგზავრო ვაგონების მეოთხე უბნის ფიზკულტურელებმა თავიანთ საერთო კრებაზე, რომელსაც 182 ფიზკულტურელი ესწრებოდა, დაადგინეს არ ჩამორჩნენ მეელმავლეებს და თავის მხრივ გამოიწვიეს მესამე უბნის მევაგონე ფიზკულტურელები

გაეცნენ რა თბილისელთა მოწოდებას ხაშურელმა მეელმავლეებმა, მხარი დაუჭირეს წამოწყებას, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიიღეს ჩამოთვლილი პირობები და თავის მხრივ დაუმატეს, რომ „გამოყოფილი იქნება ოთახი მოჭადრაკე და მოშაშეთათვის. აქვე მოიწყობა დეპოს სპორტსმენთა მიღწევების ამსახველი კუთხე“.

სამტრედიელი რკინიგზელებიც ჩაებნენ შეჯიბრებაში და ივალდებულეს: „უზრუნველყონ მარტივი ტიპის ახალი მოედნების მოწყობა ხუთ კოლექტივში, გამოყონ და კეთილმოაწყონ სექციების სამეცადინო ოთახები საორთქლმავლო და სავაგონო დეპოებში, სექციებში ჩააბან კვანძის წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე ქალთა მაქსიმუმი და სპორტის სამ სახეობაში — მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და კალათბურთში შექმნან ქალთა გუნდები; უზრუნველყონ სპორტული სტენდების მოწყობა, კედლის გაზეთების გამოშვება და სხვ.“

ქუთაისი

ორ კვირას მიმდინარეობდა ქუთაისის პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ჩემპიონის სახელს ერთმანეთს ეცილებოდა 12 გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი.

I ჯგუფში გაიმარჯვეს განათლების განყოფილების სპორტსმენებმა, მეორე ადგილი წილად ხვდა „ქალაქმშენის“ საპროექტოს I გუნდს, მესამე — „სპარტაკის“ მაგიდის ჩოგბურთელებს. II ჯგუფში პირველი იყო ავტოქარხნის გუნდი.

ვაჟთა შორის პირად პირველობაში უძლიერესის სახელი დაიპაკუთრა რ. ბალაბუდოვმა, მეორე ადგილზე გავიდა ო. ღლონტი, მესამეზე—მ. ენუქაშვილი. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ლ. კენჭაძე, მეორე ადგილი წილად ხვდა ლ. ჯოხაძეს, მესამე — ნ. ძიძიგურს.

ვაჟთა წყვილში ჩემპიონები გახდნენ ვ. ჩელიშევი და ო. ღლონტი, ხოლო ქალთა შორის ლ. ჯოხაძე და ვ. ტყემალაშვილი. შერეულ წყვილში პირველობა დარჩათ ლ. კენჭაძესა და მ. ენუქაშვილს.

კ. მაშავა,
შეჯიბრების მთავარი მხაჯი.

ლაგოდეხი

ორჯონიკიძის საშუალო სკოლაში ორ კვირას გრძელდებოდა შიდასასკოლო შეჯიბრება ფრენბურთსა და ჭადრაკში. ვაჟთა შორის ფრენბურთში პირველი ადგილი დაიკავა VIII კლასის გუნდმა, ხოლო ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა IX კლასის გუნდი. საჭადრაკო ტურნირში გაიმარჯვა ე. ლომეანიძემ.

* * *

ლელიანის საშუალო სკოლის კალათბურთელთა პირველობაზე გოგონათა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა XI კლასის გუნდი.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც ქარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს: ი. კუციშვილმა, გ. კაკაბაძემ, ნ. და ზ. ჯიშკარიანებმა, ბ. სამხარაძემ, ზ. ხვედელიძემ და სხვ.

ბ. ბერიაშვილი

ქასპი

ქასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლაში ჩატარდა სასკოლო პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 10 მოსწავლე მონაწილეობდა. პირველი ადგილი მოიპოვა ბ. ჩაჩანიძემ.

ო. თხინვალელი

შეჯიბრება გაიმართა

ჩატარდა სიღნაღის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს მეორე პლენუმი, რომელმაც მოისმინა რაისაბჭოს თავმჯდომარის ვ. ყაჯრიშვილის მოხსენება „ცენტრალური საბჭოს მეორე პლენუმის შედეგისა და რაისაბჭოს ამოცანების შესახებ.“

კამათში მონაწილეობა მიღეს ვაჭირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ძირეული საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვარდიაშვილმა, წნორის სოფლის კოოპერატივის ძირეული საბჭოს თავმჯდომარემ კ. სპანდერაშვილმა, ჰ. ნაცვლიშვილმა (ულიანოვკის კოლმეურნეობა), შ. კუდაშვილმა (ანაგის საშუალო სკოლა), ფ. ქადაგიშვილმა (მაღაროს სკოლა), ვ. ყანდაშვილმა (კომკავშირის რაიონული კომიტეტის მდივანი).

როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ამხილეს ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ რაისაბჭოსა და ძირეული კოლექტივების საქმიანობაში. პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მარტივი ტიპის ბაზების მოწყობის საკითხს. ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და რუხის კოლმეურნე ფიზკულტურელთა მოწოდების პასუხად „კოლმეურნის“ რაისაბჭომ აიღო შემდეგი ვალდებულებები:

მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების გეგმა შეასრულონ 125 პროცენტით.

შექმნან რაისაბჭოს ნაკრები გუნდები ქართულ, თავისუფალ, კლასიკურ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, უზრუნველყონ მათი რეგულარული მეცადინეობა და მონაწილეობა რაიონულ და რესპუბლიკურ პირველობებში.

მოამზადონ 40 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 16 მსაჯი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში მოაწყონ ფეხბურთის 2, კალათბურთის 3 და ფრენბურთის მოედნები ყველა ფიზკულტურულ კოლექტივებში.

ნ. მღებრიევა





კრივი

საქართველო—ირანი

აზერბაიჯანის გუნდთან წაგების შემდეგ ირანის მოკრივეთა ნაკრების შემადგენლობაში მოხდა გადაჯგუფება. კერძოდ, შეცვლილ იქნენ მოკრივეები უმძიმესს, ქვემსუბუქ, მსუბუქ და ქვემძიმე წონებში. ამ ტაქტიკური მანევრის მიზანი ცხადი იყო — სტუმრებმა სცადეს იმ წონითი კატეგორიების გაძლიერება, სადაც მათი აზრით მოსალოდნელი იყო „საფრთხე". საქართველოს ნაკრებთან შეხვედრის წინ ირანელებმა ჩაატარეს წვრთნა და დარწმუნდნენ იმაში, რომ ასეთი „რეფორმა" მათ დადებით შედეგს მისცემდა. საბჭოთა კავშირში მეორე ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად სტუმრების გუნდი მზად იყო.

შეცვლილი შემადგენლობით წარსდგა მაყურებლების წინაშე საქართველოს ნაკრებიც, რომლის დაკომპლექტების დროს კურსი ძირითადად აღებულ იქნა ახალგაზრდებზე. და აი, გასულ სამშაბათს, თბილისის ცირკის სარბიელზე ერთმანეთის პირდაპირ განლაგდნენ მეგობრულ საერთაშორისო მატჩში მონაწილე ირანისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა კრივის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარემ ამხ. თ. ფურცელაძემ. გულთბილი საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ირანის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა, კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ბ-ნმა ფ. ამირ ალიომ. სპორტულმა მეტოქეებმა ერთმანეთს გადასცეს სამახსოვრო ვიმპელი და თასი...

მატჩი დაიწყო. უმძიმეს წონაში ერთმანეთს შეხვდნენ სადიხ ფარისა და ი. აქმურზინი. პირველი შთაბეჭდილება ბრძოლის დაწყებამდე ასეთი იყო — ტანმაღალი ირანელი ფიზიკურად უფრო შეკრული ჩანდა, ვიდრე აქმურზინი. მაგრამ დაიწყო თუ არა შეხვედრა, ცხადი გახდა, რომ საქართველოს ჩემპიონი ირანელს ჯობნიდა ტექნიკასა და სისწრაფეში. ეს ასეც მოხდა. აქმურზინის სწრაფმა, მსუბუქმა გადაადგილებამ რინგზე, უფრო დახვეწილმა ტექნიკამ მინიმუმამდე დაიყვანა ირანელის გრძელი ხელების უპირატესობა. მეორე რაუნდში ფარისას დაღლა დაეტყო, რაც ნაწილობრივ თბილისელის დარტყმების სიზუსტით იყო გამოწვეული. ირანელმა სცადა მდგომარეობის გამოსწორება მესამე რაუნდში და ენერგიულად დაიწყო ბრძოლა, მაგრამ წამიერი იფეთქება, რომელზედაც დამყარებული იყო ირანელის უკანასკნელი იმედები, საკმაოდ არაბუნებრივი გამოდგა. იგი უფრო მეტად მოკრივის შესაძლებლობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ სურვილით. მაგრამ მარტო სურვილი საკმარისი არ გამოდგა ტექნიკური მოწინააღმდეგის დასაძლევად. აქმურზინმა პირველი ქულა მოუტანა საქართველოს გუნდს.

მეორე წონით კატეგორიაში სტუმრები თავს შედარებით დამშვიდებულად გრძნობდნენ. კარაპეტ კუჩარმა ბაქოში კარგ სტილში დაამარცხა აზერბაიჯანელი ბაირამ გამბარ ოღლი და იგი შეგნებულად, უფრო სწორად კი ქულის მოსაგებად იქნა დატოვებული გუნდში. ეს ყველაფერი კარგად იცოდა მისმა თბილისელმა მეტოქემ შ. ხუდოიანმა, ამიტომ ბრძოლა ირანელის წინააღმდეგ მან ფრთხილად დაიწყო. მაგრამ არც ერთ მოკრივეს არ ეყო ნერვები ხანგრძლივი დაზვერვისათვის და სულ მალე მათ დაიწყეს აქტიური ბრძოლა. განმეორდა პირველი შეხვედრის მაგალითი. ხუდოიანი თავის ფიზიკურად ძლიერ მოწინააღმდეგეს ჯობნიდა ტექნიკასა და სისწრაფეში. ეს განსაკუთრებით იშკარა გახდა მეორე და მესამე რაუნდებში ჩვენმა გუნდმა მიიღო მეორე დამსახურებული, ბრძოლით მოპოვებული ქულა.

ქუთაისელმა მოკრივემ ჯ. კვანტალიანმა წელს, 1 იანვარს, მიიღო მოზრდილთა წინააღმდეგ ბრძოლის უფლება. მანამდე კვანტალიანმა თავისი ხანმოკლე სპორტული ბიოგრაფია აღნიშნა ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებით. ახალგაზრდა ნიჭიერი მოკრივის მეორე დიდი გამარჯვება „დავაჟკაცების" შემდეგ იყო მოზრდილთა რესპუბლიკური პირველობის მოგება. და აი, სამშაბათს, მას საშუალება მიეცა გამოეცადა თავისი თავი უკვე დიდ სარბიელზე — პირველ საერთაშორისო შეხვედრაში და უნდა ითქვას, რომ ამ გამოცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა.

შეხვედრის დასაწყისში ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ქუთაისელს გაუჭირდებოდა ბრძოლა ფიზიკურად ძლიერ ბახმან შოგისთან, რადგან ირანელის ატლეტური აგებულება ქმნიდა გარეგნულ ეფექტს. ბრძოლის პირველსავე წუთზე შოგიმ რამდენიმე შეტევა წამოიწყო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. კვანტალიანმა უაღრესად სუფთა და ოსტატური მანევრებით ყველა მოქნეული დარტყმა აიცდინა, ხოლო როდესაც საპასუხო დარტყმა მიაყენა მეტოქეს, უკანასკნელმა ჯიუტ შეტევებს არჩია გონივრული სიფრთხილე. ბრძოლამ უფრო ტაქტიკური ხასიათი მიიღო და სწორედ აქ დაიჭირა შეცდომაზე კვანტალიანმა მოწინააღმდეგე. ძლიერი მარჯვენა დარტყმით მან ირანელი ნოკდაუნში გაგზავნა, მესამე რაუნდში კი ბრძოლა შეწყდა კვანტალიანის აშკარა უპირატესობის გამო. ახალგაზრდა მოკრივემ ამ შეხვედრით დაამტკიცა, რომ მას აქვს კარგი ტექნიკური და ფიზიკური მონაცემები, გრძნობს დისტანციას, მეტოქეს და ერკვევა კრივის ტაქტიკურ ნიუანსებში. მაგრამ მას მართებს კიდევ ბევრი და, რაც მთავარია, სისტემატური წვრთნა.

როგორც ყოველთვის, უაღრესად გააზრებულად ჩაატარა თავისი ბრძოლა საქართველოს ნაკრების ვეტერანმა თ. გუჯაბიძემ ირაჯ ტულუის წინააღმდეგ. კრივი არ არის უხეში ფიზიკური ძალის დემონსტრაცია. იგი პირველ რიგში გააზრებულ, გეგმაზომიერ მოქმედებაზე უნდა იყოს დამყარებული, სადაც შიშველი ძალის წინააღმდეგ ყოველთვის წარმატებით იბრძვის გამართული ტაქტიკა. გუჯაბიძის გამარჯვება ძლიერ ტულუიზე ამ აზრის კიდევ ერთი დადასტურება იყო.

პირველ ქვესაშუალო წონაში ი. მელაძის წინააღმდეგ იბრძოდა ვაზიკ კაზარიანი—ირანელთა უდაოდ ყველაზე ძლიერი მოკრივე. საერთაშორისო შეხვედრებში წარმატებით მონაწილეობის გამოცდილება, ფიზიკური ძალა, მაღალი ტექნიკა — აი ვის წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა ახალგაზრდა მელაძეს. ის, რომ მან წააგო ბრძოლა ასეთ ღირსეულ მეტოქესთან ქულებით, სრულებით არ არის გასაკვირი, ან სამარცხვინო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მელაძეს შეეძლო უკეთესად ებრძოლა. სამივე რაუნდის მანძილზე მელაძე უაღრესად შებოჭილად და გაუბედავად მოქმედებდა. ზედიზედ ოთხი დამარცხების შემდეგ, კაზარიანმა პირველი ქულა მოუტანა თავის გუნდს. მომდევნო სამი შეხვედრაც ირანელებმა მოიგეს: სურენ პირჯანიანმა დაამარცხა ო. ზებულაშვილი, ამირ იავარიმ — გ. მუხაძე და ლ. ხაჩატრიანმა — ვ. სილაგაძე.

რამდენიმე სიტყვა პირჯანიან-ზებულაშვილის შეხვედრაზე. კრივში, ისევე, როგორც სპორტის სხვა სახეობებში მოსალოდნელია, როგორც დამარცხება, ისე გამარჯვებაც, მაგრამ ერთია, როდესაც მარცხდები ბრძოლაში, ხოლო სულ სხვაა, როდესაც თავიდანვე გასწირავ თავს დამარცხებისათვის. ზებულაშვილის ბრძოლა ადრეც გვინახავს, მაგრამ ალბათ, თვითონ მოკრივეც დაგვეთანხმება იმაში, რომ ასე სუსტად მას ჯერ არ უმუშავნია. ზებულაშვილი სამი რაუნდის განმავლობაში ერთხელაც არ „გაბრაზდა" და ასე ჩააბარა ბრძოლა მოწინააღმდეგეს. შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა გ. მუხაძეც. იგი საკმაოდ ადრე დაიღალა და მესამე რაუნდში მას ფაქტიურად „დრო გაჰყავდა".

მას შემდეგ, რაც ანგარიში გათანაბრდა (4:4), გადამწყვეტი გახდა აკპერ ხუჯინისა და ნ. ამაშუკელის ორთაბრძოლა. ახალგაზრდა ფოთელმა მოკრივემ მონდომებით და თავდაუზოგავად ჩაატარა შეხვედრა და თავისი მოგებით საქართველოს ნაკრებ გუნდს გამარჯვება მოუტანა. ამ ბრძოლაში ამაშუკელმა გამოიჩინა სანაქებო ბრძოლისუნარიანობა, შეუპოვრობა, მოკრივისათვის მეტად საჭირო და ძვირფასი თვისებები და დაამარცხა ფიზიკურად ძლიერი ირანელი ატლეტი.

ამრიგად, ირანისა და საქართველოს მოკრივეთა მატჩი მოიგო ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა ანგარიშით 5:4. (მძიმე წონაში სტუმრებს მოკრივე არა ჰყავდათ).

ა. ბაქრაძე,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ნ. გუგუშვილი.

• • •

მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ ქვემძიმე წონის მოკრივეების ნ. ამაშუკელის (მარჯვნივ) და ა. ხუჯინის ბრძოლას. მარჯვნივ — ჯ. კვანტალიანის მიერ ნოკდაუნირებულ ბახმან შოგის უთვლის არბიტრი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სასარგებლო შეხვედრები და საუბრები

ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო სპორტის კათედრა ამ სპეციალობის სტუდენტთათვის, მათი კვალიფიკაციისა და მომზადების დონის ამაღლების მიზნით, ხშირად აწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს.

ამას წინათ კათედრის ინიციატივით აქ ჩატარდა საუბარი სათხილამურო სპორტში ალმა-ატის საკავშირო პირველობიდან დაბრუნებულ ორ მოთხილამურესთან, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკიდან იყვნენ წარგზავნილნი ამ შეჯიბრებაზე. მათ თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს სტუდენტებს.

კათედრის უფროსმა მასწავლებელმა კ. ასტახიშვილმა საუბარი ჩაატარა სათხილამურო სპორტში ქალაქ ლახტში ჩატარებული 1958 წლის მსოფლიო პირველობის შესახებ.

მოთხილამურე სტუდენტთა ჯგუფი ამას წინათ შეხვდა აგრეთვე ცნობილ სპორტსმენს კ. წაქაძეს, რომელმაც შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა ფინეთის დიდი ტრამპლინის რეკორდის დამყარებით. კ. წაქაძემ დამსწრეთ მოუთხრო ამ საინტერესო შეჯიბრებათა მსვლელობაზე.

ვ. ღრუბელაშვილი

სამი საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად

მოსკოვიდან სტოკჰოლმს გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის კლასიკური ჭიდაობის ნაკრები გუნდი, რომელიც ამხანაგურ შეხვედრებს ჩაატარებს შვედ სპორტსმენებთან. საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში, რომელსაც ხელმძღვანელობს საკავშირო სექციის თავმჯდომარე კლასიკურ ჭიდაობაში ა. ჩისტიაკოვი, შედიან სახელმწიფო მწვრთნელი ა. ლენცი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი პ. იორდანიშვილი, ბ. გურევიჩი, ხ. რიბალკო (უმჩატესი წონა), ო. კარავაევი (მჩატე წონა), ვ. სტაშკევიჩი (ქვემსუბუქი წონა), ი. კორშუნოვი (მსუბუქი წონა), გ. გამარნიკი (ქვესაშუალო წონა), გ. კარტოზია, ლ. ანფინოგენოვი (საშუალო წონა), რ. აბაშიძე, ა. ტკაჩოვი (ქვემძიმე წონა), ი. ბოგდანი (მძიმე წონა).

აღსანიშნავია, რომ ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა ამ ქვეყნის პირველობის გათამაშება, რომელშიც უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს ანდერსონმა, ლინცტრემმა, იუჰანსონმა, ფრეიმ, ნიუსტრემმა, ჰანს ანტონსონმა, იანსონმა და ბერტილ ანტონსონმა.

პ. იორდანიშვილი,
დამსახურებული მწვრთნელი.

დიდი მატჩი



პრესბიუროში ყოველთვის ცხარე კამათი იმართება თამაშის გარშემო. სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთი პარტიის გარჩევას. სხედან (მარცხნიდან) გ. შტალბერგი და ა. კოტოვი, დგანან მ. ტალი და ვ. კორჩნოი.

ანგარიშია 9,5:6,5

⊙

15 აპრილს მოსკოვში, თეატრალურ-საკონცერტო დარბაზში შედგა XVI პარტია, რომელშიც თეთრებით ბოტვინიკი თამაშობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოტვინიკმა მოულოდნელად წააგო თითქმის მოგებული XV პარტია, იგი XVI პარტიაში ჩვეული ენერგიით იბრძოდა, ექს-ჩემპიონზე წაგებამ გავლენა არ იქონია (სხვათაშორის, მან თავისი დამარცხება ახსნა იმით, რომ ცაიტნოტში პოზიციის შესწავლით გართულს, დაავიწყდა საათის არსებობა).

მეტოქეებმა გაითამაშეს ინგლისური დაცვა, რომელიც უკვე მესამედ გრიუნფელდის დაცვის შეცვლილ სახეს ღებულობს. ამჯერად ვარიანტს გადაუხვია სმისლოვმა, რომელმაც სწრაფად დაამთავრა მეფის ფრთის ფიგურების განვითარება. ამასობაში ბოტვინიკი დაეუფლა ცენტრს. მე-14 სვლაზე სმისლოვმა იჩქარა ლაზიერების გაცვლა. შექმნილ პოზიციაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონმა არასწორად შეაფასა. ბოტვინიკმა ხელთ იგდო ინიციატივა. მისი აქტივობა ლაზიერის ფრთაზე ძალზე სახიფათო აღმოჩნდა.

ბოტვინიკი მეთოდურად აძლიერებდა პოზიციას. ამიტომ სმისლოვი იძულებული გახდა დაეთმო პაიკი. ექს-ჩემპიონის ეტლმა აიყვანა იგი და შეიჭრა მე-7 ჰორიზონტალზე. ბოტვინიკის გამარჯვება თითქოს ახლო იყო. მაგრამ გამოირკვა, რომ სმისლოვს ღრმა გააზრებით შეუწირავს პაიკი. მან თამაში ეტლების დაბოლოებაში გადაიყვანა, სადაც მისი არყოფნა ნაკლებად საგრძნობია.

ბოტვინიკი ძნელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა, რადგან უპირატესობის რეალიზაციის გეგმა ეტლების, ისიც ოთხი ეტლის დაბოლოებაში რთული საქმეა. აქ ყოველი დეტალი მათემატიკური სიზუსტითაა გასათვალისწინებელი. წინა ბრძოლით დაღლილმა ბოტვინიკმა უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა სმისლოვმა. მან მრავალი ქიშით დაუწყო შეწუხება ექს-ჩემპიონის მეფეს. ბოტვინიკმა სცადა მიემალა იგი, მაგრამ ამით მეფე თამაშიდან გამოთიშული აღმოჩნდა. დარჩენილი ეტლი მარტო ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ 37-ე სვლაზე ბოტვინიკმა თვითონ შესთავაზა მეტოქეს ყაიმი, რომელიც სმისლოვმა მიიღო.

ამრიგად, XVI პარტიის შემდეგ კვლავ წინაა მ. ბოტვინიკი. ანგარიშია 9,5:6,5 მის სასარგებლოდ.

დღეს შედგება XVII პარტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

მდგომარეობა უცვლელია

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 16 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — 1:6 (1:2).

„დინამო“: კვაჭაძე (ს. კოტრიკაძე); ა. კოტრიკაძე, სიჭინავა, ხოჭოლავა; ხუნდაძე, ღოღობერიძე, ხასაია, ბარქაია, შელაშვილი, იოანანიძე, მესხი.

„ტორპედო“: დენისენკო (სოროკინი); მედაკინი (სოკოლოვი), მარინკო, ოსტროვსკი; ანისიმოვი, სენიუკოვი; მეტრეველი, ვუსაროვი, ფალინი, სტრელცოვი, არბუტოვი.

მსაჯი ი. გრიგორიევი (ბაკო).

ბატს მოსკოვის „ტორპედოსთან“ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის დინამოელთათვის. გარდა მეტად საჭირო ორი ქულისა, საჭირო იყო ერთგვარი რეაბილიტაცია ასეთი უღმედო სტარტისათვის არა მარტო თბილისელი მაყურებლის, არამედ მთელი საფეხბურთო საზოგადოების წინაშე. საჭირო იყო კარგი თამაშის ჩვენება.

სულ ორიოდე წუთის დაწყებული იყო თამაში, როცა არბუტოვი გაქცა ა. კოტრიკაძეს „და ჩაწოდა კართან. მეკარე კვაჭაძემ, როგორც ეს მას წესად აქვს, მუშტით კი არ მოიგერიჩა ბურთი, ხელში სცადა შისი აღება და იქვე ახლოს დაუვარდა. ფალინმა არ დააყოვნა ანგარიშის გახსნა — 1:0.

ამ გარცხს მოყვა მასპინძელთა ხანგრძლივი შტურმი. იგი ძირითადად მარცხენა ფრთიდან იქნა წარმართული, სადაც მესხი ზედიზედ გადიოდა მედაკინთან ბრძოლაში და ხშირად აწოდებდა ბურთს საჯარიმო მოედანზე. აქ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ იქნა გამოყენებული, მაგრამ გოლი ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, ვინაიდან თამაში თითქმის არ ცილდებოდა „ტორპედოს“ კარს.

სწორედ მაშინ, როცა იერიშის გაგრძელება საჭირო იყო იმავე ფლანგზე, დინამოელებმა შეცვალეს შეტევის მიმართულება და თამაშის სიმძიმე გადმოიტანეს მარჯვენა ფლანგზე, ბურთი სულ უფრო ხშირად ეგზავნებოდა ხასაიას, რომელიც ან კარგავდა მას, ან ყოვლად უსარგებლოდ აწოდებდა მოწინააღმდეგის მცველთა მხარეს. ამან საშუალება მისცა ტორპედოელებს მოეწესრიგებინათ ურთიერთმოქმედება დაცვაში და თავდასხმიდან მოთამაშეთა სესხების გარეშე, მხოლოდ მცველთა და ნახევარმცველთა ძალებით უზრუნველყოთ კარის მოსასვლელები.

მოსკოველებმა სრულიად უმტკივნეულოდ მოაგვარეს საქმე თავიანთ ხეკრში და როცა დინამოელები ჯერ კიდევ შეტევაზე იმყოფებოდნენ, სტრელცოვმა მიიღო გადაცემა, სწრაფად მოატყუა სიჭინავა და კარიდან გამოსულ კვაჭაძეს ზუსტად გაუგორა გვერდით ბურთი — 2:0.

39-ე წუთზე მესხი დრიბლინგით გავიდა მეკარის მოედანზე და ძლიერი დარტყმით გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:2. ეს იყო თბილისის „დინამოს“ ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი გოლი ამ თამაშში. დანარჩენი დროის განმავლობაში მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი მინდორზე იყო მოსკოვის „ტორპედო“.

მთელი მეორე ტაიმის მანძილზე თბილისის გუნდი წარმოადგენდა დემორალიზებულ, აბნეულ ფეხბურთელთა თავშეყრას, რომელთაც არ გააჩნიათ არც სათამაშო გეგმა, არც მიზანი, არც ნებისყოფა. ტორპედოელები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, სულ უბრალოდ, მარტივი გადაცემებით გადიოდნენ მინდვრის ყოველ ნაწილში და ყველაფერში აშკარად ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეს. ეს 45 წუთი ფაქტიურად არცაა აღწერის ღირსი. ძნელია წარმოიდგინო იმაზე სუსტი, უგეგმო, უსისტემო გუნდი „ა“ კლასში, როგორსაც თბილისის „დინამო“ წარმოადგენდა. „ტორპედოს“ თავდამსხმელები სრულიად თავისუფლად დასეირნობდნენ ბურთიანად და ასევე თავისუფლად გაჭონდათ გოლები. კერძოდ, გუსაროვმა სავსებით დამშვიდებულად დაამრგვალა ანგარიში ექვსამდე.

ჩვენი გუნდის პასივი სულ უფროდაუფრო იზრდება. და ჯერჯერობით არც ეტყობა, რომ ასეთი შემადგენლობით, მწვრთნელთა ასეთი „დაგეგმილი“ სტრატეგიით რამე წარმატებას მიაღწევენ ახლო მომავალში.

საჭიროა რადიკალური ზომები, რათა თბილისის „დინამომ“ თავი დააღწიოს ამ კატასტროფულ მდგომარეობას.

ბ. ქორქია

* * *

ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩი მოიგეს მოსკოველებმა — 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 აპრილისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ ბ.	5	3	1	1	11:3	7
„ლოკომოტივი“	5	2	3	0	6:2	7
„სპარტაკი“	5	2	3	0	11:5	7
„ტორპედო“	5	2	3	0	14:7	7
„დინამო“ კ.	5	1	4	0	11:7	6
ცსკ მო	4	2	1	1	8:4	5
„შახტიორი“	5	2	1	2	4:6	5
„ზენიტი“	4	1	2	1	2:2	4
„კრ. სოვეტოვი“	4	0	3	1	3:4	3
„დინამო“ თბ.	4	1	0	3	5:17	2
„მოლდოვა“	4	0	1	3	2:10	1
„ადმირალტეიცი“	4	0	0	4	4:14	0

* * *

◎ **კიშინოვი. 15 აპრილი.** აქ შედგა სსრ კავშირის XX საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. თამაშობდნენ „მოლდოვა“ (კიშინოვი) — „დინამო“ (მოსკოვი).

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

* * *

◎ **სტალინო. 15 აპრილი.** ადგილობრივმა „შახტიორმა“ თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „სპარტაკი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

◎ **კიევი. 15 აპრილი.** რესპუბლიკურ სტადიონზე გაიმართა შეხვედრა კიევის „დინამოსა“ და ცსკ მო-ს შორის.

შეხვედრის ანგარიშია 1:1.

* * *

◎ **ოდესა. 15 აპრილი.** აქ თამაშობდნენ ლენინგრადის „ადმირალტეიცი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“.

რკინიგზელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1.

პირველი გამარჯვება

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)

თამაშმა, რომელიც „ბურევესტნიკის“ სტადიონზე ჩატარდა, დაძაბული ხასიათი მიიღო. ორივე გუნდი ძირითადად ცდილობდა უპირატესობა მოეპოვებინა ძალისმიერი ბრძოლით, მეტი ფიზიკური დატვირთვით.

„კრილია სოვეტოვი“, როგორც ყოველთვის, გადამწყვეტ შეტევას ქმნიდა მარჯვენა ფრთაზე რედკინის საშუალებით და გუზიკის მხარდაჭერით. რედკინი კეთილსინდისიერად ასრულებდა ამ დავალებას, მაგრამ ზენიტელები მის მიმართ ხშირად ადგილობრივ „ბურევესტნიკის“ ბეკებს ანიჭებდნენ ფაბრიკულ ფაულებს. ამ ფაქტორმა ბევრი ნერვიულობა ბოლოს ბურთი ბოლოს ბურთი ბოლოს ბურთი